

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის ---- სექტემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.


ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი



მ. ბერაძე


შეთანხმებულია

აპარატის უფროსი

გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ა. ლიბრაძე





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY



წერილის ნომერი: **48-4826257108**
თარიღი: **14/09/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
წარმოგიდგენთ ანგარიშს, სამსახურის მიერ 2026 წლის I- II კვარტალში გაწეული
მუშაობის შესახებ.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2026 წლის I- II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვის უზრუნველსაყოფად შექმნილ სტრუქტურულ ერთეულს, რომლის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტებითა და მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით.

სამსახური ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, ხოლო მისი საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულების, დაზუსტების, ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და საბიუჯეტო პროცესის უწყვეტი და გამართული მართვის უზრუნველყოფისკენ.

სამსახურის სტრუქტურაში ფუნქციონირებს სამი განყოფილება, სადაც დასაქმებულია 13 თანამშრომელი. თანამშრომელთა შორის ფუნქციები განაწილებულია სამუშაო აღწერილობებისა და ფუნქციური დატვირთვის შესაბამისად. სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს რამდენიმე სპეციალიზებული ელექტრონული სისტემისა და საბიუჯეტო პროგრამის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესის ეფექტიან ადმინისტრირებასა და ფინანსური ინფორმაციის ოპერატიულ დამუშავებას.

საბიუჯეტო დაგეგმვის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა

2026 წლის I-II კვარტალში საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილებამ განახორციელა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა 2026 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მონაცემების ასახვა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში. პარალელურად დაიწყო 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის საჭირო ორგანიზაციული და მეთოდური სამუშაოები, განხორციელდა საბიუჯეტო განაცხადების მომზადების პროცესის კოორდინაცია და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება.

განყოფილება მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების განხილვას, საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრიობისა და კანონიერების შეფასებას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების ცვლილებების პროექტების შესწავლასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებას.

მიმდინარე პერიოდში სისტემატურად ხორციელდებოდა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების კვარტალური და თვიური ანგარიშის მომზადება.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერებისა და კაპიტალური პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების ასახვით.

აღნიშნული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც წლის დასაწყისში შეადგენდა **38 715,0 ათას ლარს**, 2026 წლის II კვარტლის ბოლოს განისაზღვრა **60 441,7 ათასი ლარით**.

ბიუჯეტში განხორციელებული ყველა ცვლილება დადგენილი წესით აისახა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში და ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვას, შესრულების ანალიზსა და შესაბამისი ანგარიშების მომზადებას.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა:

- 2026 წლის სამსახურის სამი თვის შესრულების ანგარიში;
- 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;

ანგარიშებში ასახულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთების, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შესრულების მაჩვენებლების, მუნიციპალური ორგანიზაციების დაფინანსებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომზადებული ანგარიშები დადგენილი წესით წარედგინა მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ამასთანავე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ იქნა შესაბამისი მიმართვები საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ჩამორიცხვის შესახებ, შესრულებული სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

სახაზინო განყოფილების საქმიანობა

2026 წლის I-II კვარტალში სახაზინო განყოფილება საქმიანობას წარმართავდა საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის, სახელმწიფო ხაზინის მოთხოვნებისა და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში

გადასახდელების განხორციელებას, შემოსულობების აღრიცხვას, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ფინანსური ოპერაციების დამუშავებასა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად თანხების სწორად მიმართვას. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე ხორციელდებოდა გადასარიცხი თანხების განსაზღვრა და გადარიცხვა შესაბამისი პროგრამების, ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გადახდების მიზნობრიობის დაცვას. თითოეული საგადახდო ოპერაცია წინასწარ მოწმდებოდა მოქმედი კანონმდებლობის, დამტკიცებული ბიუჯეტისა და წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის შესაბამისობაზე. საანგარიშო პერიოდში სისტემატურად მზადდებოდა და შესაბამის უწყებებს ეგზავნებოდა ინფორმაცია რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტების შესრულების შესახებ. ასევე ხორციელდებოდა ინფორმაციის მიწოდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების საქმიანობა

ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება საანგარიშო პერიოდში საქმიანობას წარმართავდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS/სსბას), საქართველოს კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტში მოქმედი შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად.

განყოფილება უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის ფინანსური და სამეურნეო ოპერაციების სრულყოფილ ბუღალტრულ აღრიცხვას, პირველადი დოკუმენტაციის დროულ დამუშავებას, ფინანსური ინფორმაციის სისტემატიზაციასა და საბუღალტრო პროგრამაში ოპერატიულ ასახვას.

მიმდინარე პერიოდში გაგრძელდა შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის პრაქტიკული დანერგვა, რომლის მიზანია ფინანსური ინფორმაციის ერთგვაროვანი აღრიცხვა, ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.

განყოფილება ახორციელებდა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დარიცხვას, დროებითი შრომისუნარობის ფურცლებისა და მივლინებების ანაზღაურების გაანგარიშებას, შესაბამისი საგადასახდო დეკლარაციების წარდგენასა და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სააღრიცხვო ოპერაციებს.

ამასთანავე, მომზადდა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში წარდგენილ იქნა დადგენილი ფორმის სტატისტიკური ანგარიშები.

საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ მეშვეობით უზრუნველყოფილი იყო მუნიციპალიტეტის ფინანსური ოპერაციების სრულყოფილი აღრიცხვა, აგრეთვე

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებისა და მისი მოძრაობის შესახებ ინფორმაციის დროული ასახვა.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 11 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და 8 საბიუჯეტო დაწესებულების დაფინანსების პროცესის ადმინისტრირებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 192 საშტატო და 28 არასაშტატო თანამშრომლის შრომის ანაზღაურების დარიცხვა, ანგარიშსწორება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური ოპერაციების შესრულება.

სამსახური უზრუნველყოფდა მოქალაქეთა, სახელმწიფო უწყებებისა და სხვა დაინტერესებული პირების განცხადებებისა და მოთხოვნების საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციის, ცნობებისა და ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებასა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარდგენას.

ამასთანავე, სამსახური მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტის, ფინანსური დოკუმენტაციისა და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებაში, ასევე ასრულებდა მუნიციპალიტეტის მერისა და მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა დავალებებს.

დასკვნა

2026 წლის I-II კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სრულყოფილად უზრუნველყო საბიუჯეტო პროცესის ყველა ძირითადი ეტაპის – ბიუჯეტის დაგეგმვის, დაზუსტების, შესრულების, ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის ეფექტიანი განხორციელება.

სამსახურის სამივე განყოფილების კოორდინირებულმა საქმიანობამ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის ფინანსური სისტემის გამართული ფუნქციონირება, საბიუჯეტო პროცესის შეუფერხებელი წარმართვა და მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების დროული შესრულება.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2026 წლის I-II კვარტალში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა წარმატებით შეასრულა მის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის ფინანსური მართვის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში.